პარტნიორის გარიცხვის სამართლებრივი საფუძვლები შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებიდან (ქართული, გერმანული და აშშ-ის კანონმდებლობის მიხედვით)

მარიამ ხიჩაკაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის

კერძო (ბიზნეს) სამართლის ფაკულტეტზე სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

სამაგისტრო ნაშრომი

ხელმძღვანელი: გოჩა გოგიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

განაცხადი

მე, მარიამ ხიჩაკაძე, როგორც მოცემული სამაგისტრო ნაშრომის ავტორი ვაცხადებ, რომ, ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად მიღებულ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიერებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამ ხიჩაკაძე

07.06.2023

აბსტრაქტი

საკორპორაციო სამართალი და მისი განვითარება, საერთაშორისო ნორმებთან მისი შესაბამისობა ქვეყნის განვითარების შეფასებისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია, ვინაიდან ესაა ქვეყანაში ბიზნესის უსაფრთხოდ წამოწყების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობა როგორაა ჩამოყალიბებული სამართლის ნორმები და პასუხობს თუ არა ის საერთაშორისო სტანდარტებს, აღნიშნული ფაქტორები ყველაზე მკაფიოდ მეტყველებს, თუ რა პრობლემები დგას კანონმდებლობაში.

საქართველოს სამეწარმეო სამართალი მეტ-ნაკლებად ახალი დარგია. „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონი პირველადი სახით 1994 წელს ჩამოყალიბდა, რომელმაც წლების განმავლობაში რიგი ცვლილებები განიცადა და კანონის ახალი ვერსია, რომელმაც წინამორბედისგან განსხვავებით რიგი საკითხები განსხვავებულად ჩამოაყალიბა, ძალაში 2022 წლის 1-ლი იანვრიდან შევიდა.

მოცემული ნაშრომის მთავარი მიზანია პასუხი გაეცეს იმას, თუ რამდენად სრულყოფილადაა ჩამოყალიბებული „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს ახალ კანონში შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვის სამართლებრივი საფუძვლები, რა განვითარების გზა გაიარა აღნიშნულმა საკითხმა და დგას თუ არა დღესდღეობით მნიშვნელოვანი პრობლემები, რომლებიც შეცვლას და დაკორექტირებას საჭიროებენ.

აღნიშნული ნაშრომი განკუთნილია, ძირითადად იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისთვის, აგრეთვე ნებისმიერი დაინტერესებული პირისათის, რომლისთვისაც აღნიშნული თემა ინტერესის ობიექტს წარმოადგენს.

Abstract

Corporate law and its development, its compliance with international norms is one of the main aspect to rate country's development, since developed corporate law is one of the important

prerequisites to start business safely in the country. How the norms are established and whether they meet with international standarts?- Those, above mentioned factors clearly indicate important problems in the legislation.

Georgian Corporate law is a new field in Georgian law history. Its first version was originally established in 1994, which underwent number of changes over the years and the new version of Corporate law, which formulated number of issues differently from its predecessor, entered into force on January 1st, 2022.

The aim of present paper is to answer if the legal grounds for the exclusion of a partner from a Limited Liability Company are established in the Georgian Corporate Law, how this issue was developed through the years and whether there are significant problems that need to be changed and corrected.

This paper is intended mainly for students, mainly of the Faculty of Law, also for any interested person for whom the mentioned topic is an object of an interest.

სარჩევი

1. შესავალი 1

2. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და პარტნიორის ვალდებულებები საზოგადოების წინაშე 3